

ԵՐԵՎԱՆ ԱՐԵՎ

କେବଳିକା ଟଙ୍କା କେବଳମାତ୍ରରୁ ଥିଲା?

ქართული თეატრის ბოლოდროინ-
დელი ჩემპერტუარის გადასინჯვისას არ
შეიძლება თვალში არ გეცეთ ერთი
გარემოება, — ძალიან გახშირდა პრო-
ზაულ ნაწარმოება ინსცენირებანი:
„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“,
„ეკლესიის ცისკარი“, „მე ვხედავ
მზეს“, „ნოველების საღამო“, „მყვდრის
მზე“, „წყალდიდობა“, „ჯარისკაცის
ქვრივი“, „თამაში ჭვავის ყანაში“
და ასე შემდეგ. ყველასათვის გასაე-
ბია, რომ მოჟარბებული ინსცენირებანი
არაა თეატრის კეთილი ცხოვრების შე-
დევნი. იგი უკიდურესი გასაჭირის ნიშა-
ნია. მაგრამ, მოუხდავად ამისა, დღეს-
დღეობით ჩემში გაერცელებულ ინს-
ცენირების პრინციპს თვალი უნდა დავა-
ნებოთ. თუ უინსცენირებოლ ქართულ
თეატრს არსებობა არ შეუძლია, მაშინ
ამ საქმეს უფრო სერიოზულად, მეტი
სითრონილითა და ულისიყურით მოვე-
კილოთ. ჭრიშმარიტი ხელოვნების თვალ-
საზრისით თუ მივუდგებით, ინსცენი-
რება სრულიად ახალი ნაწარმოების
დაწერას ნიშნავს.

რა არის ინსცენირება? — კითხულობდა ვ. შელოვასკი და თვითონვე პა-
84

სუხობდა, — შექსპირია ინსცენირება. მართლაც, როგორც ცნობილია, შექსპირმა ზოგიერთი თავისი ტრაგედია დაწერა აღმრჩევნების ეპოქის იტალიელი ნოველისტების ნაწარმოებთა მიხედვით. მაგრამ ლიტერატურულ პირველწყაროსა და შექსპირის ტრაგედიებს შორის კოლოსალური ზღვარია. გამარჯვებული ყოველთვის ინგლისელი ღრამატურგია. სამწუხაობოდ, ინსცენირების შექსპირისეული პრინციპი დიდი ხანია დავიწყებას მიეცა. ახლა უფერული და უდღეური ასლების გადაღების პრინციპს ამჯობინებენ. რაც ფაქტურად ანტიდრამატურგიის შექმნას უწყობს ხელს. მართლია, ჩვენშიაც ყოფილა შემთხვევა. როცა ესა თუ ის ინსცენირება წარმატებით დაგვირგვინებულა (სამაგალიოობრ დუშაძის მოთხოვნათა ინსცენირებების დასახელებაც კმარა), მაგრამ ეს სრულიად არ ამართლებს პროზაულ ნაწარმოებთა სცენისათვის გადაეკეთების ეგზომ გავრცელებულ ჩეულებას. ამას დიდი ზიანი მოაქვს. ეს ზიანი საში სახით წარმოგვიდგენა:

პირველი: ინცენირებით იქსება ჩე-
პერტუარი, მაგრამ არ იქმნება დრამა-

ტურგია — თეატრის არსებობის საფუძველი. თავის დროზე ქართულ თეატრში აჩვენებდნენ „ჩატეხილ ხიდს“ (ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა მიხედვით), „ნინოშვილის გურიას“ (ე. ნინოშვილის მოთხოვნების მიხედვით), „ოთარაანთ ქვრივს“, „პირველ ნაბიჯს“ და სხვებს, მაგრამ ამ ინსცენირებებით ჩვენი ეროვნული დრამატურგია არ გამდიდრებულია, თუმცა მაშინ ალბათ რეპერტუარი შეიკრის. დრამატურგიული კრიზისი კრიზისად დარჩა. ზემოხსნებულ ინსცენირებებს ახლა არც ერთი თეატრი არ დადგამს და ისინი არც წმინდა ლიტერატურულ ლირებულებებს წარმოადგენენ.

შეორე: როგორც წესი, ამა თუ იმ პროზაულ ნაწარმოებთა დღევანდელი ინსცენირება, მხატვრულ-ილური თვალსაზრისით, არასოდეს არ დგას პროზაულ პირველწყაროს სიმაღლზე. გამოდის, რომ კარგ პროზაულ ნაწარმოებს განვებ და ნააძალევად ვამახინვებთ. თუმცა ეს ბუნებრივიც არის, რადგან ირლევა ესთეტიკის ერთ-ერთი უმთავრესა კანონთაგანი, რომელიც გულისხმობს, რომ ესა თუ ის მხატვრული ნაწარმოები იმიტომ იბადება ან რომნად, ან ლექსად, ან პიესად, რომ მას სხვა სახით და სხვა უანრით დაბადება არ შეეძლო, ე. ი. ინსცენირებით ხშირად ირლევა უანრების თავისთვალობისა და ჟეზულელობის კანონი.

შესამც: ინსცენირება, გვინდა თუ არ გვინდა, იწვევს დრამატურგიის შინაგანი კანონების დაშლა-დარღვევას (ეს ხდება უმთავრესად მაშინ, როცა ინსცენირებისათვის აღებული ნაწარმოების ერთგული გვინდა დავრჩეთ). თეატრი ხდება პროზის ილუსტრატორად, სადაც მხოლოდ გაცოცხლებული სურათები მოქმედებენ. დრამატურგია (და ამდენად თეატრიც) კარგავს დამოკიდებელი მხატვრული აზროვნების უნარს და მოქმედების, ხასიათის, კონფლიქტის ჩვენება-გამოვლენის საკუთარ, მხოლოდ თეატრისათვის დამხასიათებელ საშუალებებს. ეს კი იწვევს თეატრალური ხელოვნების სპეციფიკის სიკვ-

დილს. ხელოვნების ყველა დარგი მკითხველისა თუ მაყურებლისათვის შეატერიზებული აზროვნების სპეციფიკურობა საშუალებებით არის საინტერესო, საურადღებო და მიმზიდველი. სხვანაირად ისინი ერთმანეთს გაიმორჩებდნენ და მათ დამოუკიდებელ არსებობასაც ღირებულება არ ექნებოდა.

რავი ინსცენირების დროს ხელოვნების ორ სრულიად განსხვავებულ ენაზე მოლაპარაკე დარგთან (პროზა და დრამატურგია) გვაქვს საქმე, ბუნებრივია, რომ მწერალს მრავალგვარი თქერაცია-შანიპულაციის ჩატარება უხდება. განსაკუთრებით როტლდება საქმე, თუ ინსცენირების ავტორი ცდილობს ერთგული დარჩეს პირველწყაროსი. ცდილობს, არც პროზაული ნაწარმოები დამახასინჯოს და არც პიესა დაწეროს ცუდი. ასეთი განზრახებისა მწერალი შებოჭილია და ამას არ შეიძლება არ მოყვეს უარყოფითი შედევრიადა. რა უფლება აქვს ინსცენირების ავტორს დაამახასინჯოს პირველწყარო? ერთი სიტყვით, იქმნება დაშული წრე, რომლის გარღვევა და საქმის გამარჯვებით დასრულება თითქმის შეუძლებელია. ეს რომ ასეა, ამას ნათლად ადასტურებენ ამ ბოლო დროს წარმოდგენილი ინსცენირებანი და განსაკუთრებით „თამაში ჭივავის ყანაში“, რაღაც ჯერომ სელინჯერის მოთხოვნა ყველზე ნათლად გამოკვეთილი ანტიდრამატურგიული ნაწარმოებია. რა თქმაუნდა, იმიტომ კი არა, რომ მოთხოვნის გმირს პოლიტიკურულ კოლექტის კინო და თეატრი არ უყვარს, არამედ იმიტომ, რომ თვით ნაწარმოები თვისი ბუნებით და ხასიათით ეწინააღმდეგება სცენის კანონებს.

„თამაში ჭივავის ყანაში“ ერთი კაცის ალსაჩება და მძღნად, სრულყოფილად ჩამოყალიბებული სახეც ერთია—პოლიტიკურულ კოლექტი. შეუძლია თუ არა ამ ბიჭს იყოს დრამატული ნაწარმოების გმირი? ჩემი აზრით, არა, რაღაც იყი

აკაკი ბაქრაძე
პროზა თუ დრამატურგია?

მოთხრობის ამბის განვითარების მანძილზე სტატიკურია როგორც სიუკეტური მოქმედების, ისე აზრის მოძრაობის თვალსაზრისით. გარდა ამისა, მას არავითან არა აქვს კონფლიქტი, რომელიც ბუნებრივად გამოიწვევდა როგორც განვითარება-მოძრაობის აუცილებლობას, ისე კონკრეტულ დასასრულსაც. ერთი შეხედვით, პარადოქსულად უღეს — კოლფილდს არავითან არა აქვს კონფლიქტი მაშინ, როდესაც იგი ყველაფრისა და ყველას მიმართ კრიტიკულად არის განწყობილი და მოვლენებშა და პიროვნებებშე სრულიად ჩამოყალბებული აზრი აქვს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჯერ პოლდენ კოლფილდს ბრძოლა და მოქმედება არ დაუწყია თავის აზრის დასაცავად ან განსახორციელებლად. ამდენად პოლდენის ფიქრი ფიქრადე რჩება. მას ჯერჯერობით ამ ფიქრის გაზიარება შეუძლია და მეტი არაფერი. ამიტომ არის, რომ პოლდენის სახის მოძრაობაში წარმოდგენა შეუძლებელია, ე. ი. გათიშულია ხასიათი და კონფლიქტი. თუ პროზას შეუძლია წარმოდგინოს ხასიათი უკონფლიქტოდ და პერსონაჟის სტატიკური პორტრეტი დაგვიხატოს, ყოვლად შეუძლებელია დრამატურგიაში ხასიათისა და კონფლიქტის გათიშვა. დრამატურგიაში კონფლიქტი ავლენს ხასიათს და ხშირ შემთხვევაში ხასიათი განაპირობებს კონფლიქტს. ისინი უერთმობენ არ არსებობენ.

მოთხრობაში არა მარტო პოლდენია გამოთხული მოქმედების დრამატურგიან, არამედ დანარჩენი პერსონაჟებიც, რადგან ისინი არ არსებობენ დამოუკიდებლად. ყველა მათგანი არსებობს მხოლოდ პოლდენის თვალითა და პოზიციითან დანახული, ე. ი. საგნების, მოვლენების და აზამიანების ხილვა მაქსიმალურად სუბიექტურია. მოთხრობის ყველა პერსონაჟები პოლდენი მსჯელობს და ფიქრობს და მკითხველოც ამ გზით იცნობს მათ. ნებით თუ უნებლიერ, რაკი ხასიათის გამოვლენის დრამატურგიული საშუალება გამოიჩინა, თეატრს უნდა მიემართა ყველაზე

ოლი გზისთვის — პოლდენ კოლფილდი ყოფილიყო სპექტაკლის წამყვანული ასეც მოხდა, დგას სცენაზე პერსონაჟების და კითხულობს პროზაულ ტექსტს, რამაც კ. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი დაამსგავს მხატვრული კითხვის საღამოს გაცოცხლებული სურათებით.

პროზაული ნაწარმოების გამიეცებამ ბუნებრივად დასვა სპექტაკლში ერთი თავისებური ელემენტის გაჩენის საკითხი. ესაა მთხრობელი. სპექტაკლში „მკვდრის მზე“ შეეცანილია სპეციალური პერსონაჟი მთხრობელის სახით, „წყალდიღობაშიც“ ლადონ მთხრობელის ფუნქციასაც ასრულებს და მთავარი გმირიც არის. უკვე თავისთავად ნათელი ხდება, რომ მოვლენათა განვითარება, პერსონაჟთა ურთიერთობა და მოქმედება ისე მიმღინარეობს სცენაზე, რომ სხვის ჩაურევლად მაყურებელს გაუჭირდება სპექტაკლის უშუალო აღმა. განა ეს თავისთავად არ ლაპარაკობს, რომ დაირღვა დრამატურგიის სამეტველო ენა, რაკი დაუხმარებლად, ერთგვარი ასნა-განმარტების გარეშე შეუძლებელია წარმოდგენის გაეხდა?

თანამედროვე დრამატურგიამ მონლოგი გააძევა პიესიდან, მთხრობელი კი შეიგუა და შეითვისა. უცნაურია, მაგრამ ფაქტია. მონლოგის გაძევებით დრამატურგია მოაკლდა დიდ გამომსახველობით საშუალებას, ხოლო მთხრობელის შეძენით ილუსტრაციული გახდა.

მოთხრობაში „მკვდრის მზე“ გიორგი კობაიძეს თავის მეორე „მესთან“ აქვს კამათი: გიორგისა და ავგორძების შინაგანი ბრძოლაა ამ სახის ფილოსოფიური არის. სპექტაკლში ავგორძების ფუნქცია მთხრობელს დაკისრა, რამაც გიორგი კობაიძის სახე გაასქემატურა და შინაგანი დრამატიზმი მოაკლო. იგი, რომელი გაორებული პიროვნებიდან, რომელსაც თავისთავთან კამათში უნდოდა ეპოვნა ჰეშმარიტება, ერთპლანიანი სახე განდა. ვიღაც მთხრობელი მის სულში ხელს აფათურებს და ედაკება. რა უფლებით, რა აუცილებლობით? მხო-

ლოდ და მხოლოდ ერთი უფლებით — გიორგის დრამა გასავები გახადოს, რაღაც ამ კაცს ორი ცხოვრებით უცხოვრია — კეთილითაცა და ბოროტითაც. გიორგი კობაიძის გულისტკივილი მონოლოგით რომ გადაშევეტილიყო, მაყურებლისათვის ჰქეშმარიტად ტრავიკული განცდის მომგვრელი იქნებოდა იმ კაცის ცქერა, რომელმაც საკუთარი ნებით გაშალა გული და შიგ ჩაგახედა. ახლა კი მთხრობელი ძალდატანებით ცდილობს, გულის საიდუმლო მოაცალოს გიორგის და სხვას გაავებინოს. ეს კი ტრავიკული თვითმხილების მაგიერ, სასამართლოსული დაყითხვის ელფერს იძენს, რასაც დრამა არასწორი მიმართულებით მიჰყავს.

თუ „მკვდრის მზეში“ მთხრობელის შეყვანამ ერთ-ერთი სახის მთლიანობა დაარღვეა, სულიერი კონფლიქტი გამარტივა და ამით ხასიათი სქემატური გახადა, სპექტაკლში „თამაში ჰვავის ყანაში“ წაშალა ინტიმი, რომელიც ჰოლდენსა და მკითხველს შორის არსებობდა.

მართალია, მოთხრობაში ჰოლდენ კოლუილი თვითონ მიმართავს მკითხველს („მართლა თუ გაინტერესებთ ჩემი თავგადასავალის მოსმენა...“) და იწყებს ამბის თხრობას, მაგრამ თავად პერსონაჟის ხასიათი და ჯ. სელინჯერის თხრობის მანერა საოცარ ინტიმურ დამკითხებულებას ქმნის მოთხრობასა და მკითხველს შორის. თითქოსდა, ვიღაც ახლობელი თავის სანუკვარ ფიქრს გიზიარებსო. ეს არც არის შემთხვევითი: როგორც მწერალს, ისე მის გმირს ყოველგვარი პოზა, მანქიობა და მეტიჩრობა სძაგს. ინტიმურობის დასამყარებლად ჯ. სელინჯერი კარგად იყენებს პროზის სპეციფიკის ერთ-ერთ თვისებას: პროზაული ნაწარმოები და მკითხველი ურთიერთობისას მარტინი არიან. მათ შორის არ დგას მესამე ერთეული. დრამატულ ნაწარმოებსა და მაყურებელს შორის არის მესამე კომპონენტი მსახიობისა და რეჟისორის სახით. თეატრში ჰოლდენ კოლფილდის პირით ჯ. სელინჯერი უშუალოდ

კი არ ელაპარაკება მაყურებელს, არა მედ მსახიობისა და რეჟისორის ინტერაციებისას გავლით. რეჟისორმა ი უფრო მიუმართება ლიამ ჰოლდენი — ი. გოგიჩაშვილი ავანცენაზე დააყენა და მაყურებელთან მუსაიფი გამართვინა. მთავარი პერსონაჟის გამოყოფაზე მაშინ, როცა ჰოლდენის შეცნობა კონკრეტული საქციელის გამოვლენით კი არ ხდება, არამედ ვეტოდახსიათებით, ჯ. სელინჯერის გმირს მეტიჩრობისა და კოკობზიკობის იერი შესძინა. ასეთმა შთაბეჭდილებამ გაქრონი ინტიმურობის შეგრძნება და მხატვრული სახეც დამახინჯებული წარმოგვიდგინა, რადგან შეიქმნა განწყობილება იმისა, რომ თითქოს ჰოლდენ კოლფილდი კოკეტობს და იპრანება აზრებისა და შეხედულებების რიგინალობით, ყველაფრისადმი კრიტიკული დამკითხებულებით. ასეთ აღმას აძლიერებს ინსცენირების ავტორის არასწორი ინტერაციებისა და მაგლითად, ერთგან ჰოლდენ კოლფილდი მოვკითხრობს, რომ ხელთამანები მომშარესო. ბიჭმა არ იცის, ვინ მოიპარა ხელთამანები, თუმცა ირონიულად შენიშვნავს იგი, „რას ვიზამდი, კიდეც რომ მცოდნოდა. კა მხდალი და ლაჩარი გახლავართო“. ამ სიტყვების შემდეგ, იგი წარმოდგენით ხატავს, როგორ დაუწყებდა ქურდს ლაპარაქს, როგორ შეეცდებოდა ვაჟქაცობის გამოჩენას, ქურდს პირში მიახლიდა, ქურდი ხარო და ა. შ. მაგრამ აქეც ამ გამოგონილ დიალოგს ქურდთან ჰოლდენი ირონიით და დაცინებით სავსე სიტყვებით ამთავრებს: „ბოლოს მაინც ისე გამოვალ მისი ოთხიდან, რომ ვერ მივაკერებ. მერე ალბათ საპირფარეშოში შევალ, ჩუმავ სიგარეტს მოვწევ და სარეკაზი მრისხანე სახეს მივიღებ“. როგორც დავითახეთ, ჰოლდენს არ ეშინია თავისთავის მიმართ ცინიკური დამკითხებულება გამოამტღავნოს. ეს კი ნათლად მეტყველებს მისი ხასიათის ბუნებასა და თვისებაზე, მის ვაჟქაცო-

ავაკი ბაქრაძე

პროზა თუ დრამატურგია?

ბაზე, რადგან ლაშარსა და მხდალს, წვრილმანსა და ეგოისტს არ შეუძლია თავისთავის მიმართ კრიტიკულად განეწყოს. ამიტომ ჰოლდენის სუმრობით დახატული სურათი ქურდთან საუბრისა მოთხოვაში ჰოლდენის სასარგებლოდ ლაპარაკობს. ჩეივისორმა ი. კაკულიამ კი ეს საუბარი თეატრში წარმოადგინა, როგორც ნამდვილად მომხდარი ამბავი და ამით ჰეშმარიტად მხდალი კაცის სახის ილუსტრაცია მოვგვა, რითაც ჰოლდენის სახე დაკინდა. ამის შემდეგ ჰოლდენი — ი. გოგიჩიშვილის განცხადება „კი მხდალი და ლაშარი გახლავართო“, მწარე სინაულის იერს ატარებს და მასში არაურია ირონიული და სასაცილო. ასეთი წაყითხვა სელინჯერის მიერ დაწერილი ეპიზოდისა ყოვლად შეუძლებელია. იგი მცუარია. გარდა ამისა, ჰოლდენის სიტყვებს („კაი მხდალი და ლაშარი გახლავართო“) ფუნქცია დაუკარგათ. ისინა ილუსტრაციის განმარტებად იქცნენ, რადგან მაყურებელმა თვითონაც ძალიან კარგად დაინახა, როგორ იქცევა ჰოლდენი — ი. გოგიჩიშვილი. ჰოლდენის სიტყვებს მაშინ ექნებოდა ფასი, თუ იგი კონტრაპუნქტული დაპირისპირებით დაგვანახებდა პერსონაჟის ნამდვილ ბუნებას. მოთხოვაში სწორედ კონტრაპუნქტული ქვეტექსტით არის აღწერილი მთელი ეს გამოგონილი დიალოგი ქურდთნ. ამიტომაც იღიმება მეითხველი, როცა ჰოლდენის საუბარს ისმენს და ოდნავადაც არ სჯერა მისი სილაშირისა. პერსონაჟის მიერ წარმოთქმულ წინადაღებას თუ ბრძად დავუჯერეთ და ღრმად ჩამარხული აზრი ერ ამოვიკითხეთ, მაშინ ჰოლდენის სიგირის დამადასტურებელი ეპიზოდიც უნდა დაგვემატებით, რადგან იგი ერთგან ამბობს — „ნამდვილად გიერ ვარ, ვალიარებ!“

მოთხოვაბის არასწორად წაყითხვის გარდა, აქ შეცდომა მეორე მიზეზითაც არის გამოწვეული. ი. კაკულიამ დაინახა, რომ მხოლოდ და მხოლოდ მთხოვაბელის საშუალებით (როგორც უკვე ვთქვი, ჰოლდენი მთხოვაბელის ფუნქციასაც ატარებს თავისთავში) პერსონაბების სახე და ხასიათი ვერ დაიხსნებოდა. აუცილებელი იყო კონკრეტული მოქმედებაც, რომელიც საშუალების მისცემდა რეეისორსა და მსახიობს გმორის კონკრეტული საქციელი ერვენებინათ. ამ კონკრეტული მოქმედებისა და საქციელის ძებნამაც გამოიწვია ზემოთ ნახსენები შეცდომა. კიდევ ერთხელ დაბასტურდა, რომ პროზა არ ძლევს მდიდარ საკვებს დრამატურგიას თავისი მასალა სჭირდება. იგი (მასალა) უსათუოდ უნდა შეიცავდეს სანახაობით ელემენტს და მისი ჩეინება მოქმედებით უნდა შეიძლებოდეს სცენისათვის შესაფერის პირობებში. ასკი პროზაული ნაწარმოები უმრავლეს შემთხვევაში არ შეიცავს დრამატურგიისათვის აუცილებელ ან შესაფერის მასალას, მის ძიებას ინსცენირების აერორი ხშირად შეცდომამდე მიჰყავს. მის წინაშე გარდაუვალად დგება პირველწყაროს გადაეკონირების, დამატება-გამდიდრების, შეცვლის აუცილებლობა. ეს პროზაული ნაწარმოების ღრმა და საფუძვლიან ცოდნასთან ერთად მოითხოვს სხვაძეცვების უნარსაც, რადგან დამატებულა ან შეცვლილი ეპიზოდი და სცენა არ უნდა არღვევდეს პირველწყაროს უარს, მხატვრული ქსოვილის მთლიანობას, სტილს, ბუნება-ხასიათს, ელფერს (სხვაძეცვების უნარი, სხვათაშორის, ნიჭიერების თანაბარ დონესაც მოითხოვს, რაც, სამწუხაროდ, ინსცენირების პირობებში გამორიცხულია). ყოველგვარი დარღვევა კი ინსცენირებისათვის გამიზნული ნაწარმოების აზრისა და იდეის გამრუდებას იწვევს. უკვე თქმულის ნათელსაყოფად მაგალითი ისევ სპექტაკლიდან — „თამაშა ჭევაის ყანაში“ მოვიტანოთ, რადგან იგი ინსცენირების მანკიერ თვისებებს ტიპიური სახით ამჟღვენებს.

როგორც მკითხველს მოხხსენება, მოთხოვაში ნამბობია ვინე ოსენ-ბერების პენსის სკოლაში ჩამოსვლის შესახებ. გაიხსენოთ, ეს როგორ არის აღწერილი ჯ. სელინჯერთან: „საფეხბურთო სეზონის პირველ მატჩ-

ზე თავისი დიდებული „კადილაკით“ ჩამობრძნდა. ჩვენ ტრიბუნებზე ჩაგვამწერივეს და გვაბლავლეს — ეს იგი, „ვაშა“ გვაძახებინეს... მეორე დიღას ექლესიაში ათსაათიანი სიტყვა წარმოთქვა“. ამის შემდეგ გამდოცებულია ოსენბერგერის სიტყვის შინაარსი და ამბის თხრობა ასე გრძელდება: „...ლაპარაკის სალეროლი რომ აეშალა და ეშში შევიდა, ნამდვილი სეირი სწორედ მაშინ მოხდა. გადაიქაჩა — ასეთი ბიჭი ვარო, ამისთანა მოხერხებულიო, რა არ გამომივა ხელიდან და ამ ღრის, უციბ, ედგარ მარსალმ, რომელიც ჩემს წინ იჯდა, იღო და ერთი მაგრალ ბრიგა. რა თქმა უნდა, დიდი სიბრივე მოუვიდა, ტაძარში როგორ შეიძლებოდა!.. მაგრამ ძალიან სასაცილო კი იყო. ყოჩალ, მარსალა. სახურავი კინალმ გაანგრია. ხმამალა არვის გაუცინა, ოსენბერგერს წარბიც არ შეუხრია — ვითომ არ გაუკონია. მაგრამ ბებერ თარმერს, ჩვენს დირექტორს, რომელიც ოსენბერგერის გვერდით იჯდა კაოველაზე, ხელალვე შეტყო, რომ მშენებირად გაიგონა. პო, ბიჭო, რას გაშიშმატდა! მაშინ არაფერი, მაგრამ მეორე საღამოს საკოლო სარჩაზში შეგვყარა ყველა და დაიქოქა. ის მოსწავლე, რომელმაც ეკლესიაში აღმაშფოთებელი დანაშაული ჩაიდინა, სკოლაში გაჩერების ღრის არ არისო. მარსალს შევეხვეწეო, მანამ თარმერს სიტყვა არ დაუმთავრებია, ერთი კიდე ბრიგეო, მაგრამ გუნებაზე ვერ იყო“...

მართალია, სპექტაკლში ეს ეპიზოდი, მოქმედების აღვილისა და ხასიათის თვალსაზრისით, მოითხოვდა კორექტივს, რადგან თეატრს არ შეუძლია აჩვენოს როგორ ჩამობრძნდა „კადილაკით“ ოსენბერგერი, როგორ გაამწერივეს მოწაფები ტრიბუნაზე და ა. შ. მაგრამ კორექტივის შეტანის ღრის ზუსტად უნდა დაცულიყო მოთხრობის ავტორის სტილი, იუმორის ფორმა, პერსონაჟისადმი დამოკიდებულება და გმირების ხასიათი, გამოვლენილი კონკრეტული საქციელით. ინსცენირების

ავტორის მიერ შეტანილი ცვლილებანი კი მხოლოდ თეატრის მოახოვნილებისდა მიხედვით კი არ სცენის შეტანილებისა მაბობ ეპიზოდს, არამედ სრულიად სხვა ბუნების, ხასიათისა და სტილის სცენას უმატებს სელინჯერის ნაწარმოებს. სპექტაკლში ოსენბერგერთან შეხვედრა სყალასო თათაში ხდება. შეხვედრამდე მოწაფეებთან მოდის მოხუცი სპენსერი და კოლფილდსა და მის ამხანაგებს აზეპირებინებს თავისებრებისადმი მიღლივი „ლექსი“, რომელიც თურმე თვითონ სპენსერს დაუშერია. ჯერ ერთი, სელინჯერს არსად უთქვამს სპენსერი ლექსებსაც წერდათ; მეორეც, ოსენბერგერთან შეხვედრაში სპენსერს არავთარი მონაწილეობა არ მიუღია. გამოდის, რომ ი. კაკულიას კორექტივები თვითნებურ ხასიათს ატარებს და მთლიანად ცვლის სელინჯერის პერსონაჟის ბუნებასა და ხასიათს. გარდა ამისა, ი. კაკულიას მიერ დაწერილი „ლექსი“ (არავთარი ლექსი მოთხრობაში არა) როგორდაც უნდა მოქცეულიყო ამერიკელი მწერლის მხატვრულ სტილისტიკაში და არ დამსგავსებოდა ნ. ლუმბაძის ზურიელას „პოეტურ“ ქმნილებებს. სამწუხარისაა, რომ ი. კაკულიამ თავისი „ლექსით“ და მერე ამ „ლექსის“ სცენური წარმოდგენით ჯ. სელინჯერის მწარე ირონია საცირკო ატრაქციონად აქცია.

მართალია, სპექტაკლის ავტორს არ შეეძლო სცენაზე გადაეტან სელინჯერის მიერ აღწერილი სკაბრიოზული შემთხვევა და აღბათ ამიტომ მორცხვად შეცვალა ვარღით, რომლის დაყნოს შემდეგ ცხინვება უტყდებათ. ერთი შეხედვით, ეს უცნებელი და დასაშენები კორექტივია, მაგრამ, სამწუხარიდ, აქაც დავიშუებული და გამოტვებულია მთავარი. სელინჯერისათვის არსებითი ის კი არ არის, თუ როგორ მოიცეა მარსალა, არამედ ის, რომ ეს კელესიაში მოხდა. თარმერიც ხომ იმიტომ გაცეცლდა, რომ უზნეოდ ტა-

აკაკა ბაქრაძე
პროზა თუ დრამატურგია?

ძარში მოიქცნენ („ის მოსწავლე, რო-
მელმაც ეკლესიაში აღმაშფოთებელი
დანაშაული ჩაიდინა, სკოლაში გაჩერე-
ბის ღირსი არ არისო“). სელინჯერის
აღწერილ სკაბრიოზულ შემთხვევას სე-
რიოზული დანიშნულება აქვს — იგი
ეკლესის, ე. ი. რელიგიის გამასხარა-
ვებას გულისხმობს. არც ისაა შემთხ-
ვევითი, რომ მოთხოვნის მთავარ პერ-
სონას ყველაფერი რელიგიასთან და-
კავშირებული სტულს („ქრისტე მიყ-
ვარს, მართალია, მაგრამ დანარჩენი
ყველაფერი სისულელე ბიბლიაში“).
ეკლესიში მომხდარ შემთხვევასა და
პოლდენის ათეიისტურ (თვითონ პოლ-
დენი ამბობს: „დედაქემი და მამაქემი
სულ სხვადასხვა რელიგიის ხალხია,
ბავშვები კი ათეიისტები გამოვედით“)
განწყობილებას შორის პირდაპირი კავ-
შირია და მთელი მოთხოვნის ერთ
მთლიან კრიტიკულ დამოკიდებულებას
ქმნის რელიგიის მიმართ. სელინჯერი-
სათვის ისენბერგერი უბრალო მიზე-
ზია და არა მიზანი. ი. კაფულიასათვის
კი ისენბერგერი მიზეზიც არის და
მიზანიც. ასე დამცირა იმსცენირების
ავტორმა ამერიკელი მწერლის იდეური
პოზიცია და პარტია, მოწაფურ ცელქო-
ბამდე დაიყვანა იგი.

პროზაული ნაწარმოების იმსცენირე-
ბის დროს ერთ-ერთ რთულ საკითხთა-
განია დროის პრობლემა. პროზა დროს
თავისუფლად ექცევა და შეუძლია მოქ-
მედება ამბის განვითარების დაურღ-
ვევლად გადაიტან-გადმოიტანს. დრა-
მატურებია კი ამ მხრივ შეზღუდულია.
მიუხედავად იმისა, რომ დრამატურგიამ
კარგა ხანია დაივიწყა კლასიცისტური
პრინციპი დროის ერთიანობისა, მაინც
თავისუფლად და შეუბოჭელად მოქ-
მედება დროში სცენურ ნაწარმოებს
უშიოს.

როგორც წესი და კანონი, დრამა-
ტურგია აწმყოს აჩვენებს, ხოლო წარ-
სულის შესახებ მოუხსერობს.

„ოიდიპოს მეფეში“ ოიდიპოსის წარ-
სულზე — იქნება იგი მისი ბავშვობა
თუ მეფე ლაიონის მევლელობა — სო-
ფოკლე მოგვითხოვნის. გვიჩვენებს მხო-
90

ლოდ იმას, რაც აწმყოში ხდება: მეტა
წარმოშობის საიდუმლოების მეტომა,
ოიდიპოსისა და თოკასტეს ჭრისამართებ-
ბას და მის ტრაგიულ დასასწაულ.

ოტელო გვიყვება — როგორ შეუ-
გარდა იგი დეზდემონას, ანდა როგორ
აჩქა დედმა ცხვირსახოცი, რაჟი ეს
ამბები წარსულს განეკუთვნება; ხოლო
როგორ წარიმართა აწმყოში ოტელო-
დეზდემონა-იაგოს ურთიერთობა, ნი-
ვენებია უშუალოდ.

ჰ. იბსენის გმირი — მშენებელი სოლ-
ნესი უყვება პილდას, თუ რა მოუვდა
მის ოჯახს. მათი ურთიერთიდომიურე-
ბულება კი მაყურებლის თვალშინ ვა-
თარდება.

ასე ყველგან, ყველა სცენურ ნაწარ-
მოებში. პროზის ინსცენირებაშ კი დრა-
მატურგიის ეს პრინციპი დაარღვია.
დაიწყო თვითნებური გადასახლება აწ-
მყოდან წარსულში და პირიქით.

„წყალდიდობის“ მთავარი პერსონა-
უ ლადო მაყურებლის წინაშე უკვე
მოხუცი დგას და თუ რა გარდახდა მას,
მოგონების გზით უნდა შევიტყოთ. ამ-
სათვის იუცილებელია ორი თუ სამი
ათეული წლით უკან დავიხიოთ, გა-
ხალგაზრდავებული ლაპო ვნახოთ და
მისი ოჯახური თუ საზოგადოებრივი
დრამის მოწმე გავხდეთ. ნაჩვენებია
აწმყოც და წარსულიც, უფრო მეტაც
კი წარსული, ვიდრე აწმყო.

აბობოქერებულ ზღვაში მარტოდმარ-
ტო დარჩენილი ჯარისკაცის და სერან-
ტის წინაურთიერთობა ანუ წინასტრ-
რია რომ გავიგოთ, ისევ რეტროსექ-
ციას უნდა მიგმართოთ და ვნახოთ, რა
მომხდარა აღრე სერეკანტს, ქალსა და
ჯარისკაცს შორის (სპეციალი „ნოვე-
ლების საღმონ“, ნოველა „ტალღები ნა-
პირისაკენ მიიჩქარიან“).

როგორც ვხდავთ, პროზამ მოიტან,
წარსულისა და აწმყოს ერთდროულად
ჩვენების აუცილებლობა. თითქოსდა
ეს არ უნდა იყოს მომაკინიებელი
ცოდვა. რა გუყოთ მერე, დროის დრა-
მატურგიული ჩვენების პრინციპი რომ
დაირღვა, ვითომ ამით არსებითი ჩა-

დაშავდა, დაზიანდა? სამწუხაროდ,
დაშავდა და დაზიანდა.

ამბის თხრობის დრამატურგიისათვის
დამახასიათებელი ტეპპი და დინამიკა
შეიცვალა პროზის ტემპითა და დინამი-
კით. ამან მოქმედების განვითარება
სცენაზე შეანელა და მღლორე გახადა.
ნაცვლად იმისა, რომ კონფლიქტი თან-
დათან განვითარდეს, მაყურებლის
თვალშინ დაიძინოს, გაზარდოს და გა-
დაიტრას, ჯერ შედეგს ვხედავთ და
შემდეგ ასენა-განმარტებას ვისმენთ
(უფრო სწორად, ვუყურებთ), რატომ
მომზდარა ასე და არა სხვანირად. ჯერ
ვნახეთ მოტეხილი, დაფიქრებული და
გულგატებილი ლალო და მერე გავიგეთ,
რა ცხოვრებას მოუყვანია იგი ამ მდგო-
მარეობამდე. ასევე ჯერ დაჩაჩანაკე-
ბული გიორგი კობაიძე გვაჩვენეს და
მერე გვიამბეს მისი შევილის სიკვდილის
ისტორია. ეს იგივე იქნებოდა — მაყუ-
რებელს ჯერ ოტელოს მიერ დეზდემო-
ნას დახტჩობის სცენა ენახა და შემდეგ
აეხსნა შექსპირს, რატომ გაიმეტა თავ-
დავწყებით შეყვარებულმა ქარმა ცო-
ლი სასიკვდილოდ. დრამატურგიაში
კონფლიქტის ფინალისაკენ თანდათა-
ნობით განვითარება და მოქმედების
მაყურებლის თვალშინ გაშლა მას (მა-
ყურებელს) ამბის დამშრის შთაბეჭ-
დილებას უქმნის. ეს ეჯექტი მხოლოდ
თეატრალური ხელოვნებისათვის არის
დამახასიათებელი და სპეციფიკური (ამ
ეჯექტის სცენური ძალით მიღწევა არ
შეუძლია კინოსაც). თუმცა ამისი პრე-
ტენია აქვს. ამის მიზეზია ის, რომ
სცენაზე ცოცხალი მსახიობი მოქმე-
დებს, ეკრანზე კი მსახიობის სურათი),
ურომლოსოდაც თეატრი პეარგავს ემო-
ციური ზემოქმედების უდიდეს ასახალს.

სცენაზე დროის ხშირი ცვლა ბუნებ-
რივად სკამს მსახიობის ასაქის პრობ-
ლემას. ხშირად მსახიობი იძულებულია
პირველ მოქმედებაში 60 წლის კაცის
როლი შეასრულოს, ხოლო მეორე მოქ-
მედებაში უცბად 20-25 წლის ახალ-
გაზრდა გახდის. ასეთ ასაკობრივ მეტა-
მორფოზას მსახიობის თამაშში უცი-

ლობელად სიყალბე შეაქვს. რა თქმა
უნდა, თეატრისათვის არა უცხო, რო-
ცა შედარებით ახალგაზრდა მყავითობით
მოხუცს თამაშობს, ხოლო ხანდაზმუ-
ლი — ქაბუქს, მაგრამ ერთია, როცა
მსახიობს მთელი სპექტაკლისათვის აქვს
შემუშავებული პერსონაჟის ასაკობრივი
სახე და მას წარმოადგენს, და სულ
სხვა ერთ წარმოადგენაში წლოვანების
რამდენიმეჯერ გამოცვლა. ასეთი
მდგომარეობა ძაბავს მსახიობს, ღლის
და ართმევს საშუალებას, როლის გა-
რენული სახე ერთ სტილისტურ
მთლიანობაში წარმოადგინოს. კიდევ
უფრო ცუდად არის საქმე, როცა ერთი
როლის თამაში ორ სხვადასხვა მსახი-
ობს უხდება ერთდროულად. მაგალი-
თად, „წყალდიღობაში“ გიორგი და
გურამ საღარაძები ასრულებენ ერთ
როლს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი
მამა-შვილია და ბევრი რამ აქვთ საერთო,
მხატვრული სახე მაინც ორად გაი-
ყო. ეს იმის ბრალია, რომ ისინი სხვა-
დასხვა ხასიათის, ემოციური ძალის,
სტილისა და მანერის მსახიობებია. ასეთ-
მა გაორებამ, რასაკვირველია, სახის
ემოციური ზემოქმედების ძალა დასუს-
ტა.

პროზა არა მარტო დროის წარმოო-
გენითა და ასახვით არის დრამატურგია-
ზე უფრო ფართო და ტევადი, არამედ
პერსონაჟთა გალერეის მრგვალფეროვ-
ნებითაც. პერსონაჟთა სიმრავლე პრო-
ზას აძლევს საშუალებას, აღმარინთა
საზოგადოება უფრო სრულად, მრავა-
ლი პლანითა და კუთხით, სიღრმითა და
ფერებით დახატოს. ამ მხრივ დრამა-
ტურგია შეზღუდულია როგორც მაყუ-
რებელთან ურთიერთობის ტექნიკური
პირობებით, ისე მხატვრული აზროვნე-
ბის სპეციფიკური თვისებებით. ეს გა-
რემობა თავისითავად მოითხოვს პროზა-
ული ნაწარმოების ინსცენირების დროს
პერსონაჟთა მექანიკურ შემცირებას ან
რამდენიმე გმირის ერთ სახელ გაერ-
თიანებას. ასეთ ოპერაციებს, ნებით თუ

აკაკი ბაქრაძე
პროზა თუ დრამატურგია?

უნებლიერ, მიყვევართ ლიტერატურული პირველწყაროს დამახინჯებამდე, რადგან ირლევა პერსონაჟის ხასიათი, თვისებები, ბუნება, მოქმედება — საქციელის ლოგიკა. ამდენად, სახეში ჩადებული იდეური მიზანდასახულება პერვავს ასეს, დანიშნულებას. ეს რომ ასეა, დავრწმუნდებით ერთი მაგალითთა. სპექტაკლში „თამაში ჭავაის ყანაში“ გაერთიანებულია მოთხრობის ორი პერსონაზი: ჯეინ გალაპერი და სალი ჰეისი. ეს გაერთიანება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, რადგან ისინი რაღვადალურად განსხვავებული პიროვნებია და არც გარეგნულად ჰგვანან ერთმანეთს.

ჯ. სელინჯერის მოთხრობაში სულ სამი კაცია — ელი, ფიბი და ჯეინ გალაპერი — რომელთა შესახებ დაუფარავი სიყვარულითა და სითბოთი ლაპარაკობს პოლდენ კოლფილდი. ეს სამი კაცი შეადგენს მისთვის ყველაფერ ამაღლებულსა და ლამაზს ცხოვრებაში. სამიღან ორი — ელი და ფიბი — მხოლოდადა, უცხო მთლილ ჯეინია, მაგრამ ეს გოგონა „ჩვენებს გარდა, ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც ელის ხელთათმანი ვაჩვენე, ლექსებით ატრელებულიონ“, — ამბობს პოლდენი. ეს კი არის პოლდენის მიერ სულიერი სიახლოვისა და ნდობის მაქსიმუმის გამომუღანება, რადგან ელის ხელთათმანები ყველაზე წმინდა და სათუთი სახსოვარია პოლდენის ცხოვრებაში. ჯეინისა და პოლდენს შორის სუფთა და ალალი დამოკიდებულება. გაიხსნეთ, მაგალითად, როგორ ალელდა პოლდენი, როცა გაიგო, რომ ჯეინი სტრედლეიტერთან იყო პარმანენტ. შეეშინდა, ამ ბიჭის მორალური ჭუჭყი არ მოსცებოდა ქალს. პოლდენს სულ ერთხელ უკონია ჯეინისათვის. ისიც მაშინ, როცა ქალს საზიზოარი მამინაცვლის დანახვაში რალაც მშარე და შეურაცხმყოფელი გაახსნა. ეს კოცნა უფრო მოფერების, დამშვიდების და თანაგრძნობის გამომხატვირი იყო („ერთმაშად უკონ ჩამწყადა მტირალი ჯეინის დანახვისასაონ“, ამბობს ბიჭი), ვიდრე ვნებისა. უდიდეს

სიამოვნებას ჰგვრის პოლდენს განდევნების, როგორ ეფერებოდა მას კუთხით კინში. ერთი სიტყვით, ჯეინის უცხმულებელი ფერ ლამაზთან არის დაკავშირებული პოლდენისათვის („მისთვის ხელის ჩავიღება ერთ რამედ ღირდა…“ ჯეინთან „თავს ბელნიერად გრძნობდი, და მორჩია — მეტი რაღა გინდოდა…“ „სულ წიგნში ჰქონდა თავი ჩარგული. ძალიან კაი წიგნებს კითხულობდა“).

სულ სხვაა სალი ჰეისი. პოლდენი ხშირად ამ ქალზე დაცინვით ლაპარაკობს (უცველებელი წერილი მომწერა, ვიღაც ვაბატონზე ილაქლაქა, ტუჩები ჰქონდა წათხინილი, სულ იმანქებოდა და იგრიბებოდა, სიხარულის ღორბლები გაღმოყარა და ა. შ.) მაშინ, როდესაც ჯეინის მიმართ არასოდეს არ უხმარია დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი სიტყვა. ბოლოს იქამდე მივიღა პოლდენი, რომ შეაგინა კიდევ სალის („წადი ერთი შენი“...). თუ ჯეინს ერთხელ იყოცა და ისიც თანაგრძნობის ნიშნად, სალის — რამდენიმეჯერ მამაკაცური ვნებით. „თეატრში მისვლისა, ტაქსში რამდენჯერმე ვაკოცეთ ერთმანეთს“.

მართალია, მერე პოლდენია ამ გოგოს მიყვარხარო, ისიც უთხა, მაგრამ თვითონვე დამატა ირონიულად: „ტყუილი ვუთხარი, რაღა თქმა უნდაო“. რაც შეეხება წიგნებსა და განათლებას, სალი ჰეისს შეუძლია ჰქოცოვინია მოლბოროს უტიფარი სიტყვები გაიმეოროს — მამაკაცები და ბანქი ჩემი წიგნებია.

ამ ორი სხვადასხვა პერსონაჟის გაერთიანება შლის მათ მხატვრულ ინდივიდუალობას, აღარიბებს შეერლის პერსონაჟთა გალერეას, ერთფეროვანსა და ცალმხრივს ჰქიდის საზოგადოებას, სადაც შეიძლება ჯეინიც ცხოვრობდეს და სალიც. აქ უფრო მექანიკურ გერთათმანებასთან გვაქვს საქმე, ვიდრე წინააღმდეგობრივ ხასიათთან, რადგან არ არსებობს მათი გაერთიანების არც ემოციური და არც ლოგიკური დამაჯერებლობა და საბუთი. ამიტომაც ამ როლის

შესრულება ფაქტიურად შეუძლებელია. ვინ უნდა ითამაშოს მსახიობმა, ჯერი თუ სალი? მათ ხომ განსხვავებული საქციელი, მოქმედება, ბედი, სურვილები და სალაპარაკო ენა აქვთ? ამის გამოა, რომ მსახიობი არც ერთს თამაშობს და არც მეორეს — მხოლოდ კითხულობს ტექსტს.

ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ ინსცენირების ღრმოს, ერთი მხრივ, ვამახინჯებთ პროზაულ პირველწყაროს და, მეორე მხრივ, დრამატურგიული

ნაწარმოების მაგიერ ვლებულობა  ხელოვნურ შემცირებელს. ამიტომშემცირებული ცენტრება არ არის ხსნა. ხსნა მხოლოდ და მხოლოდ პროფესიული დრამატურგიის შექმნაა. სხვა გზა არ არსებობს. სხვა გზა დრამატურგიული კრიზისის დროებითი მითურებება-მიჩქმალვაა, რომელიც ხვალ უფრო მძაფრად და უფრო მტკიცნეულად იჩენს თავს.

აკაკი ბაქრაძე
პროზა თუ დრამატურგია?

